ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № UNDP-3

ქ. თბილისი

17 იანვარი 2017 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, **სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის, ია პაპიაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # 206351730, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **ს.ს. “გუდვილი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი #9 ; ს/კ:206343991, სს "საქართველოს ბანკი", კოდი# BAGAGE22, ა/ა # GE60BG0000000704007300.

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია ტორტის მიწოდების **(CPV-55521200 – საკვების მიწოდების მომსახურება)** (შემდგომში “მომსახურება”) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვა ხორციელდება, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2 შესყიდვა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** მიერ გამოყოფილი გრანტის დაფინანსებით, პროფესიული ტრენინგებისა და მხარდაჭერის იმპლემენტაცია გაეროს პროექტზე „მინამატას კონვენციის რატიფიცირებისა და მისი აღსრულების მიზნით საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება" პროექტის ფარგლებში.

1.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **998.25 (ცხრაასოთხმოცდათვრამეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით. **დღგ-ს გარეშე.**

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია:

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამური თანხა
1	ქართული ლიმონი ასაწონი	კგ.	0.984	2.6	2.56
2	შაქარი გუდვილი	ცალი	2.0	1.9915	3.98
3	PARLAMAT - რძე 1,8% 1000 მლ	ცალი	1.0	3.8136	3.81
4	GREENFIELD - შავი ჩაი „გოლდენ ცეილონ“ 2გრx100ც	ცალი	1.0	14.322	14.32
5	SANDORA - ნატურალური წვენი ალუბლის 2ლ	ცალი	7.0	5.805	40.64
6	SANDORA - ნატურალური წვენი ფორთოხლის 2ლ	ცალი	7.0	5.805	40.64
7	იაკობზ მონარქი 190გრ ხსნადი ყავა	ცალი	1.0	16.0169	16.02
8	ტარტალეტკა ნაღებით სამრხვო (დიდი)	ცალი	30.0	0.6779	20.34
9	ტორტიკი „ალუბალი შოკოლადში“	ცალი	27	1.2711	34.32
10	ტორტიკი „ალუბალი შოკოლადში“	ცალი	3.0	1.2712	3.81
11	ჩიზქეიქი კენკრით ნაჭრებად (სტანდარტული ნაჭრები)	ცალი	30.0	1.8644	55.93
12	ქაბაბი ლავაშით	ცალი	40.0	2.7118	108.47
13	მწვადი ქათმის ფილეთი (ფურშეტი)	ცალი	50.0	1.2711	63.56
14	ცეზარი სალათი ფურშეტ. ჭურჭელში (ფურშეტი)	ცალი	40.0	1.6949	67.8
15	ტარტალეტკა ისპანახით (ფურშეტი)	ცალი	35.0	1.2711	44.49
16	კანაპე ლორით და ყველით (ფურშეტი)	ცალი	40.0	1.5254	61.02
17	კანაპე სალიამით (ფურშეტი)	ცალი	40.0	1.9491	77.97
18	პომიდორი ჩერი მდნარი ყველით (ფურშეტი)	ცალი	50.0	0.8474	42.37
19	ღვეზელი საქონლის ხორცის - მინი (ფურშეტი)	ცალი	40.0	0.5932	23.73

20	ოლივიე სამარხვო ერთჯერად ჭურჭელში (ფურშეტი)	ცალი	35.0	1.2711	44.49
21	ბადრიჯანი ნიგვზით რულეტი (ფურშეტი)	ცალი	35.0	0.8474	29.66
22	კარტოფილის კნედლი ზეთისხილით (ფურშეტი)	ცალი	60.0	0.8474	50.85
23	კაპრეზე ჭურშელში (ფურშეტი)	ცალი	50.0	1.6949	84.75
24	მინი ხაჭაპური ნახევრადფენოვანი (ფურშეტი)	ცალი	40.0	0.5084	20.34
25	მინი კარტოფილის ღვეზელი (ფურშეტი)	ცალი	40.0	0.4237	16.95
26	ლობიანი ნახევრადფენოვანი მინი (ფურშეტი)	ცალი	40.0	0.4237	16.95
27	სატრანსპორტო მომსახურება		1		8.48

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2017 წლის 18 იანვარს დილის 10:00 საათზე;

3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა76მ..

3.2. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს;

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. შემოწმებით დგინდება გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი თამარი ლომიძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს გაწეულ მომსახურებას, ხოლო თუ, მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და მომსახურება სათანადოთ არ იქნა შესრულებული, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სათანადო მომსახურების გაწევა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

5.4 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი თამარი ლომიძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის

განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის პროცესში რაიმე უზუსტობის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე. მოითხოვოს ხარვეზის აღმოფხვრა წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ასეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშეშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს გაწვა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%–ის ოდენობით.

13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 28 თებერვლამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან''; ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“

ია პაპიაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

ს.ს. "გუდვილი"

GOODWILL

გიორგი ხაბაშვილი
დირექტორი